

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26

2023 წლის 27 ნოემბერი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №31 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/12/2022, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.132.016566) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

დანართი 1

**თავი I**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები**

**მუხლი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	180,451.5	254,575.9	299,050.0		299,050.0
გადასახადები	77,736.0	98,039.5	97,296.4		97,296.4
გრანტები	59,638.5	87,327.7	136,196.7		136,196.7
სხვა შემოსავლები	43,077.0	69,208.6	65,556.9		65,556.9
ხარჯები	118,798.5	161,938.4	209,356.6		209,356.6
შრომის ანაზღაურება	24,983.2	28,454.7	38,242.3		38,242.3



საქონელი და მომსახურება	40,439.7	56,311.4	69,890.4		69,890.4
პროცენტი	179.5	5,015.3	4,805.4		4,805.4
სუბსიდიები	15,891.2	23,326.2	23,034.7		23,034.7
გრანტები	4.8	3.1	15.0		15.0
სოციალური უზრუნველყოფა	9,875.6	13,836.8	16,854.9		16,854.9
სხვა ხარჯები	27,424.6	34,990.9	56,513.9		56,513.9
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>61,653.0</b>	<b>92,637.5</b>	<b>89,693.4</b>		<b>89,693.4</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>40,024.6</b>	<b>47,171.8</b>	<b>114,697.6</b>		<b>114,697.6</b>
ზრდა	56,795.3	58,730.1	124,197.6		124,197.6
კლება	16,770.7	11,558.3	9,500.0		9,500.0
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>21,628.4</b>	<b>45,465.7</b>	<b>-25,004.2</b>		<b>-25,004.2</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>18,863.7</b>	<b>19,576.8</b>	<b>-52,650.0</b>		<b>-52,650.0</b>
ზრდა	18,867.9	19,576.8			
ვალუტა და დეპოზიტები	18,867.9	19,576.8			
კლება	4.2		52,650.0		52,650.0
ვალუტა და დეპოზიტები			52,650.0		52,650.0
აქციები და სხვა კაპიტალი	4.2				
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-2,764.8</b>	<b>-25,888.9</b>	<b>-27,645.8</b>		<b>-27,645.8</b>
ზრდა	0.1				
საგარეო	0.1				
კლება	2,764.8	25,888.9	27,645.8		27,645.8
საშინაო	2,764.8	25,888.9	27,645.8		27,645.8
<b>ბალანსი</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2021 წლის	2022 წლის	2023 წლის გეგმა	
				მათ შორის



	ფაქტი	ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>შემოსულობები</b>	<b>197,226.5</b>	<b>266,134.2</b>	<b>308,550.0</b>		<b>308,550.0</b>
შემოსავლები	180,451.5	254,575.9	299,050.0		299,050.0
არაფინანსური აქტივების კლება	16,770.7	11,558.3	9,500.0		9,500.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	4.2				
ვალდებულებების ზრდა	0.1				
<b>გადასახდელები</b>	<b>178,358.6</b>	<b>246,557.3</b>	<b>361,200.0</b>		<b>361,200.0</b>
ხარჯები	118,798.5	161,938.4	209,356.6		209,356.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	56,795.3	58,730.1	124,197.6		124,197.6
ვალდებულებების კლება	2,764.8	25,888.9	27,645.8		27,645.8
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>18,867.9</b>	<b>19,576.8</b>	<b>-52,650.0</b>		<b>-52,650.0</b>

## მუხლი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 299,050.0 ათასი ლარის ოდენობით:  
(ათას ლარებში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
<b>შემოსავლები</b>	<b>180,451.5</b>	<b>254,575.9</b>	<b>299,050.0</b>
გადასახადები	77,736.0	98,039.5	97,296.4
გრანტები	59,638.5	87,327.7	136,196.7
სხვა შემოსავლები	43,077.0	69,208.6	65,556.9

## მუხლი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 97,296.4 ათასი ლარის ოდენობით:  
(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
11	<b>გადასახადები</b>	<b>77,736.0</b>	<b>98,039.5</b>	<b>97,296.4</b>
113	გადასახადები ქონებაზე	29,511.7	45,362.7	40,000.0



1131	გადასახდები უძრავ ქონებაზე	29,511.7	45,362.7	40,000.0
11311	ქონების გადასახადი	29,511.7	45,362.7	40,000.0
113111-113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	24,988.4	40,220.0	35,000.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,510.7	2,988.2	2,700.0
113114-113115	მიწაზე ქონების გადასახადი	2,012.6	2,154.5	2,300.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადები	48,224.3	52,676.9	57,296.4

#### მუხლი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 136,196.7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
13	გრანტები	59,638.5	87,327.7	136,196.7
132	გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან		25.4	196.7
1321	მიმდინარე დანიშნულების გრანტები		25.4	196.7
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	59,638.5	87,302.4	136,000.0
	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	14,809.7	49,979.6	69,490.0
133121	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	14,809.7	49,979.6	69,490.0
1331211	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	14,809.7	49,979.6	69,490.0
133131	გრანტები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან	500.0		
1331311	სპეციალური ტრანსფერი	500.0		
	კაპიტალური დანიშნულების გრანტები	44,328.8	37,322.8	66,510.0
133112	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	1,548.2		
1331119	სპეციალური ტრანსფერი			
1331123	სხვა ტრანსფერი	1,548.2		
133212	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	42,780.5	37,322.8	66,510.0
1332122	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	42,780.5	37,322.8	66,510.0



## მუხლი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 65,556.9 ათასი ლარის ოდენობით:  
(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
<b>14</b>	<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>43,077.0</b>	<b>69,208.6</b>	<b>65,556.9</b>
<b>141</b>	<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>6,979.5</b>	<b>9,665.4</b>	<b>11,530.4</b>
<b>1411</b>	<b>პროცენტები</b>	<b>4,929.0</b>	<b>7,544.1</b>	<b>9,700.4</b>
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	4,929.0	7,544.1	9,700.4
<b>1415</b>	<b>რენტა</b>	<b>2,050.5</b>	<b>2,121.2</b>	<b>1,830.0</b>
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	153.5	185.6	155.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,897.0	1,935.6	1,675.0
<b>142</b>	<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>28,249.9</b>	<b>46,931.3</b>	<b>45,850.0</b>
<b>1422</b>	<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>28,203.4</b>	<b>46,711.9</b>	<b>45,850.0</b>
<b>14223</b>	<b>სანებართვო მოსაკრებლები</b>	<b>1,137.6</b>	<b>1,287.1</b>	<b>750.0</b>
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	1,137.6	1,287.1	750.0
<b>14229</b>	<b>საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი</b>	<b>1.3</b>	<b>2.0</b>	
<b>142212</b>	<b>სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი</b>	<b>3.4</b>	<b>4.4</b>	
<b>142213</b>	<b>სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი</b>	<b>23,440.8</b>	<b>41,388.9</b>	<b>39,800.0</b>
<b>142214</b>	<b>მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის</b>	<b>3,199.1</b>	<b>3,925.2</b>	<b>5,300.0</b>
<b>142215</b>	<b>კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი</b>		<b>1.7</b>	
<b>142216</b>	<b>მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის</b>	<b>421.2</b>	<b>101.4</b>	
<b>142299</b>	<b>სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი</b>	<b>0.0</b>	<b>1.3</b>	
<b>1423</b>	<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>46.5</b>	<b>219.4</b>	
<b>14232</b>	<b>შემოსავლები მომსახურების გაწევიდან</b>	<b>46.5</b>	<b>219.4</b>	
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	46.5	219.4	
<b>143</b>	<b>სანქციები (ჯარიმები და საურავები)</b>	<b>6,457.9</b>	<b>10,063.7</b>	<b>7,000.0</b>
<b>144</b>	<b>ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული</b>	<b>1,389.8</b>	<b>2,548.2</b>	<b>1,176.5</b>



**მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 209,356.6 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
<b>2</b>	<b>ხარჯები</b>	<b>118,798.5</b>	<b>161,938.4</b>	<b>209,356.6</b>
21	შრომის ანაზღაურება	24,983.2	28,454.7	38,242.3
22	საკონელი და მომსახურება	40,439.7	56,311.4	69,890.4
24	პროცენტი	179.5	5,015.3	4,805.4
25	სუბსიდიები	15,891.2	23,326.2	23,034.7
26	გრანტები	4.8	3.1	15.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	9,875.6	13,836.8	16,854.9
28	სხვა ხარჯები	27,424.6	34,990.9	56,513.9

**მუხლი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 114,697.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 124,197.6 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	7.5	400.3	605.7
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	46,143.1	44,687.6	87,045.5
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,263.9	6,464.6	15,218.2
04 00	განათლება	636.3	4,770.2	15,219.9
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	4,495.0	884.6	3,353.2
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	231.1	18.1	253.1
07 00	ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება	12.2	906.3	1,607.3
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	6.2	598.3	894.7
	<b>სულ</b>	<b>56,795.3</b>	<b>58,730.1</b>	<b>124,197.6</b>



ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 9,500.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
<b>31</b>	<b>არაფინანსური აქტივები</b>	<b>16,770.7</b>	<b>11,558.3</b>	<b>9,500.0</b>
311	ძირითადი აქტივები	618.5		
314	არამწარმოებლური აქტივები	16,152.3	11,558.3	9,500.0

**მუხლი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 333,554.2 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
<b>7</b>	<b>სულ</b>	<b>175,593.8</b>	<b>220,668.4</b>	<b>333,554.2</b>
<b>701</b>	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>12,345.1</b>	<b>20,818.4</b>	<b>30,591.9</b>
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6,178.9	7,566.9	14,067.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	6,178.9	7,566.9	10,717.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა			3,350.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	5,986.7	8,236.2	11,518.9
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	5,986.7	8,236.2	11,518.9
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	179.5	5,015.3	4,805.4
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			200.0
<b>702</b>	<b>თავდაცვა</b>	<b>8.4</b>	<b>11.1</b>	<b>20.0</b>
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	8.4	11.1	20.0
<b>704</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>61,922.5</b>	<b>53,095.9</b>	<b>93,298.1</b>
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	6.8		
70412	შრომით რესურსებთან დაკავშირებული საკითხები	6.8		



7045	ტრანსპორტი	61,431.3	52,526.2	92,207.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	61,431.3	52,526.2	92,207.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	484.3	569.7	1,091.1
<b>705</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>17,888.6</b>	<b>25,581.8</b>	<b>29,424.6</b>
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	10,078.1	12,216.8	16,104.5
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	7,810.5	13,364.9	13,320.1
<b>706</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	<b>26,560.2</b>	<b>51,179.6</b>	<b>73,310.2</b>
7061	ბინათმშენებლობა	258.7	18,131.1	28,007.1
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	8,070.0	13,824.8	23,843.5
7063	წყალმომარაგება	7,412.5	1,662.0	1,741.7
7064	გარე განათება	7,440.8	10,753.9	9,205.3
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	3,378.2	6,807.8	10,512.6
<b>707</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>4,322.6</b>	<b>5,591.6</b>	<b>7,576.9</b>
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	1,008.4	1,135.6	1,466.1
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	1,008.4	1,135.6	1,466.1
7072	ამბულატორიული მომსახურება	125.8	232.7	215.3
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	125.8	232.7	215.3
7073	საავადმყოფოების მომსახურება	404.7	586.5	942.4
70732	სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება		42.9	113.6
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	404.7	543.6	828.8
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	2,783.8	3,636.7	4,953.1
<b>708</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>25,365.3</b>	<b>25,820.9</b>	<b>41,690.5</b>
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	16,795.6	18,745.0	30,342.7
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	8,372.9	6,882.0	11,000.8
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	196.8	193.8	347.0
<b>709</b>	<b>განათლება</b>	<b>14,784.8</b>	<b>22,780.8</b>	<b>40,165.9</b>
7091	სკოლამდელი აღზრდა	14,672.0	22,618.4	39,990.9
7092	ზოგადი განათლება	12.8	24.3	
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	12.8	24.3	
7094	უმაღლესი განათლება	100.0	124.0	130.0





70942	უმადლესი აკადემიური განათლება	100.0	124.0	130.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში		14.1	45.0
<b>710</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>12,396.3</b>	<b>15,788.5</b>	<b>17,476.1</b>
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2,564.9	2,617.7	4,577.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	7,520.7	10,159.8	12,899.1
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2,310.6	3,011.1	

### მუხლი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -25,004.2 ათასი ლარის ოდენობით.

### მუხლი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -52,650.0 ლარის ოდენობით:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 52,650.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
<b>32</b>	<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>18,863.7</b>	<b>19,576.8</b>	<b>-52,650.0</b>
	<b>ზრდა</b>	<b>18,867.9</b>	<b>19,576.8</b>	
321	საშინაო	18,867.9	19,576.8	
3212	ვალუტა და დეპოზიტები	18,867.9	19,576.8	
	<b>კლება</b>	<b>4.2</b>		<b>52,650.0</b>
322	საშინაო	4.2		52,650.0
3222	ვალუტა და დეპოზიტები			52,650.0
3252	აქციები და სხვა კაპიტალი	4.2		

### მუხლი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -27,645.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 27,645.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
------	------------	-----------------	-----------------	-----------------



33	ვალდებულებების ცვლილება	-2,764.8	-25,888.9	-27,645.8
	ზრდა	0.1		
331	საგარეო	0.1		
	კლება	2,764.8	25,888.9	27,645.8
331	საშინაო	2,764.8	25,888.9	27,645.8

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2023 წლის ბოლოსთვის:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	ვალის ნაშთი 2023 წლის ბოლოსათვის
	<b>ვალის საპროგნოზო მოცულობა</b>	<b>212,833.7</b>
1	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის I ფაზა (KfW) *	41,864.1
2	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის II ფაზა (KfW) *	43,718.4
3	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის III ფაზა - (KfW) *	26,096.4
4	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის III ფაზა - სანიაღვრე (KfW) *	19,624.0
5	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის IV ფაზა (KfW) *	72,864.0
6	ბათუმის ავტობუსის პროექტი (EBRD) *	8,666.7

შენიშვნა \* - საპროგნოზოდ გამოყენებული (ევრო/ლარის სავარაუდო კურსი 1/3.0

## თავი II

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**  
**მუხლი 12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**  
 განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (ქვეპროგრამები) შემდეგი რედაქციით:

1 **პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)**

**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)**

პროგრამის მიზანი - ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა ქუჩების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლოატაციის სფეროში. კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას. საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება კი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების ტემპებსა და დონეს. ტრანსპორტის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის. კეთილმოწყობილი ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე. ქალაქის მოვლილი და განათებული ქუჩები, გზები და ტროტუარები ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ.



1.1

აუცილებელია ქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გადაადგილებას, მგზავრობის დროის დაზოგვას, ქალაქში მაცხოვრებელთათვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტისა და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნას, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას, ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვას, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა; საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა; გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;
- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - შექმნილია სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ფეხითმოსიარულეთა შეუფერხებელი გადაადგილება

**გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 01 01; 02 01 04)**

1.1.1

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება, კერძოდ, გათვალისწინებულია:

- ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა.

**საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდები 02 01 02; 02 01 05)**

ქვეპროგრამა მოიცავს ქალაქის მთელ ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის ერთიანი თანამედროვე სტანდარტის დანერგვას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, კერძოდ, გათვალისწინებულია:

- ქ. ბათუმში, გრიგორ ფერადის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, ივანე მესხის ქ. N14-16-18-ის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია;
- ქ. ბათუმში, ევგენი მიქელაძის და მ. ჯავახიშვილის ქუჩების კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, შაშიკაშვილის ქ.N42-დან N80-დე მონაკვეთის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, გიორგი შარვაშიძის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, გიორგი ლეონიძის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, ხახულის მე-2 შესახვევის N10-დან გზის რეაბილიტაცია;

აღმაშენებლისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთის მიმდებარედ ტროტუარების მოწყობა;

- ქ. ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს



ქუჩამდე გზის რებილიტაცია;

ქ. ბათუმში, შავშეთის ქუჩის რეაბილიტაცია პეტრე ბაგრატიონის ქუჩიდან ბაქოს ქუჩამდე;

ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩის (შარტავას წრიულიდან ვ. ფშაველას ქუჩამდე) რეაბილიტაციის სამუშაოები;

ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე, სხვადასხვა მონაკვეთებში ტროტუარის მოწყობა;

ქ. ბათუმში, შინდისის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ე.წ. „ბენზე“-ს დასახლებაში კვარტალი 331-ის კეთილმოწყობა;

ნონეშვილის ქუჩაზე, ბარცხანის ხიდის მიმდებარედ ტროტუარის მოწყობა;

'ქ. ბათუმში, წმინდა ნინოს ქუჩის კეთილმოწყობა;

## 1.1.2

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის და ხახულის ქუჩების (ალ. სულაბერიძისა და მ. ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან ფრ. ხალვაშის გამზირამდე) კეთილმოწყობის სამუშაოები;

ქ. ბათუმში, ხახულისა და ოშკის ქუჩის პირველი შესახვევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

ზედადელის დასახლება N24-დან N17-მდე ქუჩის კეთილმოწყობა;

ბაღის ქუჩის პირველი ჩიხის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N5-ის მიმდებარედ მონაკვეთის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმის, ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე - სამრეწველო ზონის მიმდებარედ (ადგილობრივი მნიშვნელობის გზის "მახოს ხიდი-გონიოს ხიდისა" და "გეზის" მიმდებარედ) მთავარი და მეორე ხარისხოვანი გზის მშენებლობა-მოწყობის სამუშაოები;

ბათუმში, შალვა დადიანის ქუჩის კეთილმოწყობა

ქ. ბათუმში, მაქაცარიას ქუჩის კეთილმოწყობა

ქ. ბათუმში, იუსტიციის სახლის მიმდებარედ უსაფრთხოების კუნძულის მოწყობა;

შარტავას ქუჩაზე სხვადასხვა მონაკვეთებში ტროტუარის მოწყობა;

ვ. გორგასალის ქუჩის (ალ. გრიბოედოვის ქუჩიდან ნ. ბარათაშვილის ქუჩამდე) კეთილმოწყობა ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მიერთებებით;

ფარნავაზ მეფის ქუჩის (ალ. გრიბოედოვის ქუჩიდან ნ. ბარათაშვილის ქუჩამდე) კეთილმოწყობა ზურაბ გორგილამის ქუჩაზე მიერთებებით;

ხიდების და ხიდბოგირების მოწყობა-რეაბილიტაცია; სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები;

პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება;

ვიდეო-სათვალთვალო კამერების შეძენა - მონტაჟი;

ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;

**გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 01 03; 02 01**



ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების სისტემის გაფართოებას და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კერძოდ, გათვალისწინებულია:

### 1.1.3 გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაცია;

გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი;

ქ. ბათუმში, ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები;

## საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 01 07)

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება, კერძოდ, გათვალისწინებულია:

### 1.1.4 არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;

დეკორატიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობა;

## სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის მიზანი - სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტიანი გადაადგილების უზრუნველსაყოფად. მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელი წარმოადგენს ყველაზე იაფ გადაადგილების საშუალებას, რის გამოც საზოგადოების ფართო მასაა მისი მომხმარებელი. აქედან გამომდინარე მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელის გამართული ფუნქციონირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის.

### 1.2

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - 'ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.

## მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კერძოდ:

### 1.2.1

შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა)

'შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-სათვის მუნიციპალური ავტობუსების შეძენა.

## საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის მიზანი - ქალაქში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა.

ქალაქის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. 2007 წლიდან მიმდინარეობს „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა



რეაბილიტაციის პროექტი“, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხით და ქ. ბათუმის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი გულისხმობს ქალაქის წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას.

1.3

ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;

- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - რეაბილიტირებულია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება.

**სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 03 01-02 03 05)**

1.3.1

ქალაქის სანიაღვრე სისტემის გაფართოების და გამტარუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია; სანიაღვრე ჭის სახურავების შექმნა.

სანიაღვრე არხების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია.

**წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:

1.3.2

ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში ახალი სასმელის წყლის სისტემის და 300 კვ.მ. სამარაგო-სადაწნეო რეზერვუარის მოწყობა;

მახინჯაურის დასახლების (თამარ მეფის გამზირის III შესახვევის №32-დან №50-მდე; თამარ მეფის გამზირის I შესახვევის №15-დან №37-მდე; მარკოზა აჭარელის III შესახვევის №38- დან №46-მდე) დასახლებაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.

**კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:

1.3.3

სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავიტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/ადაპტაცია;

მამია ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო საწნეო ხაზის, გადამქაჩი სადგურების და გრავიტაციული ხაზის მოწყობა; ბენზეს სატუმბო სადგურის ელევატორებისა და შემოდინების ჩამკეტების რეაბილიტაცია/განახლება.



**ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 04)**

1.3.4

ქვეპროგრამის ფარგლებში გახორციელდება ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-5 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით გასაფორმებელი შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, კერძოდ ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

პროექტის ფარგლებში დღგ-ს და სხვა გადასახდელების თანადაფინანსება;

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 04)**

პროგრამის მიზანი - ქალაქის საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის განვითარება.

1.4

პროგრამის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებასა და ქალაქის ურბანულ ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება; მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა; მოზინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ქვეპროგრამები: საცხოვრებელი სახლების მშენებლობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - გაუმჯობესებულია საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი გარემო.

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 02 04 03)**

ქვეპროგრამის მიზანია საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა. რომლის ფარგლებში განხორციელდება:

1.4.1

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავები რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია;

**საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 04 01- 02 04 04)**

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართათვის საცხოვრებელი ბინების გადაცემის მიზნით განხორციელდება აპლიკანტი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა -



**1.4.2** ოჯახებში ვიზიტი და ინტერვიუს წარმოება-ანკეტის შევსება, შემსყიდველის მიერ დადგენილი კრიტერიუმებისა და შერჩევის ინსტრუმენტის მიხედვით ოჯახებისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭება და რეიტინგის მიხედვით მონაცემთა ბაზის შექმნა;

ქ. ბათუმში ე.წ. შანხაის დასახლებაში სოციალური სახლის მშენებლობა.

ავარიული სახლების რეაბილიტაცია-დემონტაჟი:

**მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)**

პროგრამის მიზანი - მუნიციპალური სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება.

**1.5** ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს მოვლა-პატრონობაში აქვს 44.3 ჰა მუნიციპალური სასაფლაოებისათვის განკუთვნილი ტერიტორია, სადაც ხორციელდება, როგორც მოვლა-პატრონობის, აგრეთვე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებები. საჭიროა მუდმივი მუშაობა სასაფლაოების ინფრასტრუქტურის განახლება-გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომი მომსახურების სერვისით უზრუნველყოფისათვის. სასაფლაოების პასპორტიზაციის დასრულებით მუნიციპალიტეტს ექნება ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია თავისუფალი, უპატრონო და სამემკვიდრეო სასაფლაოების შესახებ. ამასთან შექმნილი სრული ბაზა და საფლაოების ნომერაცია გაადვილებს საფლავის ძებნას და მემკვიდრის დადგენას. პასპორტიზაციით უკვე მიღებულია პირველი შედეგები, უსახელო საფლაოების მოძიებასა და მეპატრონის დაზუსტების საქმეში, აგრეთვე მნიშვნელოვანია ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა, სასაფლაოზე საფლაოების დასუფთავების, მუშა-მესაფლაოების სპეციალური უნიფორმითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა. საფლაოებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების გამოყოფასა და დაკრძალვის პროცესზე ყოველდღიური მონიტორინგის განხორციელება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

- მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - უზრუნველყოფილია მუნიციპალური სასაფლაოების გამართული ფუნქციონირება.

**მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)**

**1.5.1** ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ადმინისტრირება და მართვა;

უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა;

**ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)**

პროგრამის მიზანი - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია.

**1.6** საქალაქო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დაგეგმვა, მოწყობა, მოვლა-პატრონობა, მშენებლობა-რეაბილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქ ბათუმის სტრატეგიული განვითარებისათვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმდინარე მოვლა-პატრონობისა და განვითარების ღონისძიებები ხორციელდება შეუფერხებლად.





**ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)**

ქვეპროგრამის მიზანია - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და კომუნალური საკითხების კოორდინაცია;

**1.6.1 სხვადასხვა ტურისტული ობიექტების მართვა;**

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობისათვის პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ადმინისტრირება და მართვა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.

**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)**

პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების ექსპერტიზა

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით);

**1.6.2**

მიწისქვეშა კომუნიკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სტიქის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა.

**1.6.3**

**საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 03)**

მოქალაქეთა მიმართ საკომპენსაციო თანხების გაცემა

**ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)**

**1.7**

პროგრამის მიზანია ქალაქში სადღესასწაულო გარემოს შექმნა, რომლის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

**ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 07 02)**

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

**1.7.1**

'საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმებისათვის საახალწლო მანათობელი



კონსტრუქციების და სხვადასხვა მოწყობილობების შესყიდვა;

'ენვერ ხაბაძის ქანდაკების დამზადება და განთავსება.

### ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდები 02 07 04)

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

1.7.2 ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება;

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

2

### პრიორიტეტი: ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)

#### ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი - ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. ქალაქის მკვეთრი ზრდის ფონზე ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ

2.1

მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მოწესრიგება-მოწესრიგება; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; ქალაქის სანაპირო ზოლის დასუფთავება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა.
- საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება

#### ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები;

2.1.2

ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები;

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა;

ნარჩენების გატანა;

ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)



პროგრამის მიზანი - ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებელი ტერიტორიების გაფართოება.

ქალაქის მკვეთრი ზრდის ფონზე ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ქვეპროგრამები: პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა; ქალაქის გამწვანების ღონისძიებები; ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

### 2.1.3

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;
- ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;
- ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი;
- შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მხარდაჭერა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ქალაქში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

#### **პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდები 03 02 01-03 02 02)**

განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ქ. ბათუმში, ჩაქვის დასახლებაში სარეკრეაციო სივრცის და მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურის მოწყობა (პროექტირება/მშენებლობა);
- ქ. ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქუჩა #32-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქუჩა #30-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქუჩა #34-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, გ. ანწუხელიძისა და ადლიის ქუჩების კვეთაში სკვერის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, კოტე აფხაზის ქუჩაზე კალათბურთის მოედნის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

### 2.1.4

- ქ. ბათუმში, მეფე მირიანის ქუჩა #13-15-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, დ. კაკაბაძისა და გ. ანწუხელიძის ქუჩების კვეთაში სკვერის მოწყობა;
- გორგილაძეზე, ხელოვნების მუზეუმის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია;
- აკაკი წერეთლის სკვერის რეაბილიტაცია;
- ქ. ბათუმში, ევროპის მოედანზე სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ბათუმში, ახალ ბულვარში, სტიქიის შედეგად დაზიანებული სანაპირო ზოლის აღდგენის სამუშაოები;
- ქ. ბათუმი, სამების 1 ჩიხი N3-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია;
- ქ. ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩაზე გზაგამყოფ სივრცეში სკვერის მოწყობა (ს/კ 05.27.40.006) (ს/კ 05.27.41.004) (ს/კ 05.27.04.024)



ცენტრალური პარკის დაცვა.

### ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;

#### 2.1.5 სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია;

ხე-მცენარეების შექმნა-დარგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

### ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პროგრამული კოდი 03 02 04)

#### 2.1.6 მართვა ადმინისტრირება;

### 3 პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

#### სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა

სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

#### 3.1 „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:



- ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;
- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო

**ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)**

ქვეპროგრამის მიზანია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა:

**3.1.1**

საბავშვო ბაღების მართვა-ადმინისტრირება;

საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ტრენინგები.

**საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02-04 01 03)**

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოეფექტიანობა - KfW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;

**3.1.2**

ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა;

ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. N83-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა;

ქ. ბათუმი, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა;

საბავშვო ბაღების გამაგრება-რეაბილიტაცია.

**პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)**

პროგრამის მიზანი - ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამაღლების სტიმულირება.

ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. განათლება ქალაქის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა.

**3.2**

ამ ეტაპზე ქალაქში ფუნქციონირებს 3 სახელმწიფო და 10-მდე კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელთაგანაც ყველაზე დიდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტია. ბათუმში ასევე ხელმისაწვდომია პროფესიული განათლება. უმაღლესი და პროფესიული განათლება, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, თუმცა, ბათუმის, როგორც დინამიურად მზარდი ქალაქისთვის, აუცილებელია კონკურენტუნარიანი, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების განვითარება, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი უცხოეთში სტაჟირებისა და დეფიციტურ და



მოთხოვნად სპეციალობებზე მომზადება - გადამზადების ხელშეწყობა, ბათუმელი ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდების სტიმულირების გზით მათი აკადემიური მოსწრების ამაღლება.

პროგრამა 2023-2026 წლებში მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

1. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
2. სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის.

### **პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)**

ბათუმში, დინამიურად მზარდ ქალაქში, ყოველწლიურად იზრდება ბაზრის მოთხოვნა ცალკეული სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტებზე. ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის გადამწყვეტი სწორედ ადამიანური რესურსების ხარისხია.

დღესდღეობით სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიისწრაფის პროფესიული განვითარებისკენ. დამსაქმებლების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას პოტენციური თანამშრომლის მიმართ მისი გამოცდილება წარმოადგენს. NACE-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, დამსაქმებელთა დაახლოებით 50% სტუდენტის რეზიუმეში სტაჟირებებს ანიჭებს უპირატებობას. ამავე ორგანიზაციის ცნობით, დაქირავებულნი თანამშრომლების 36% სწორედ სტაჟირების გავლის შედეგადაა მიღებული.

მუნიციპალიტეტისათვის არსებითადაა მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების გაძლიერება, ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ამ მიმართულებით ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, ახალგაზრდა კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის; ახალგაზრდებისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას, მათ მომზადებას დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების მხარდაჭერას - გამოცდილების, უნარ-ჩვევების, კომპეტენციების და კარიერული განვითარების თვალსაზრისით. ქვეპროგრამის ფარგლებში განორციელდება შემდეგ ღონისძიებებს:

1. ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა -

ღონისძიება ითვალისწინებს იმ ახალგაზრდების მხარდაჭერას (თანადაფინანსების ფორმატში), რომლებიც პროფესიულ სტაჟირებას და/ან გადამზადებას (არანაკლებ 5 დღიანი) გაივლიან უცხოეთში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ წინსვლა - განვითარებას. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 18-29 წლის ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ფლობს არანაკლებ ერთ უცხო ენას და წარმოადგენს მოწვევის დამადასტურებელ დოკუმენტს. თითოეულ სტაჟიორზე გათვალისწინებული თანხა შეადგენს - არაუმეტეს 3 000 ლარისა (მ.შ. მგზავრობის; ვიზის; დაზღვევის; მონაწილეობის / სარეგისტრაციო ან სხვა საფასური).

ღონისძიების მონაწილეთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით.

ქვეპროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება იწარმოებს 2023 წლის საკონკურსო ბიუჯეტის ამოწურვამდე.



კონკურსანტთა შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით. დაფინანსდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს.

ღონისძიების დასრულების შემდეგ ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წერილობითი ანგარიში.

ღონისძიებებში მონაწილეობის მსურველმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შევსებული განაცხადის ფორმა;

ბ) საერთაშორისო პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;

გ) მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სარეკომენდაციო წერილი;

ე) მოწვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4);

ზ) თანადაფინანსების დამადასტურებელი საბუთი.

### 3.2.1

თ) განათლების დამადასტურებელი საბუთი ან ცნობა სამსახურიდან, ხოლო თუ სტაჟირების მსურველი სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - ცნობა ამ დაწესებულებიდან.

დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დადასტურებული.

